

თბილისში შეებულებას ატარებს სპორტის დამსახურებული ოსტატი, მფრინავი-კოსმონავტი გ. შონინი. გუშინწინ ეს სახელოვანი გმირი სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირს დაესწრო.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან): სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი სამბოში ო. შინჭიკაშვილი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში ა. კიკნაძე, გ. შონინი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ვ. რიუსკა, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ა. ქიბროწაშვილი და პოლონელი ძიუდოისტი ვ. გნაროვსკი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## თბილისის I საერთაშორისო ძიუდოში

# ბრძოლაც, რისკიც, აზარტიც...

ბევრი საინტერესო შეხვედრის მოწმე გავხდით ამ პარასკევს თბილისის სპორტის სასახლეში გამართული იუნიორ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეთა მიზეზით. ახალგაზრდებს უყვართ ბრძოლა, რისკი, აზარტი, არ ერიდებიან ავტორიტეტებს და ამიტომ მათი ჭიდილი მუდამ სასიამოვნო საყურებელია.

გაიხსენეთ თუნდაც გუშინწინდელი ფინალები. ხუთ ბრძოლას რეგლამენტით გათვალისწინებული 50 წუთის ნაცვლად 26 წუთი და 35 წამი დასჭირდა. არ იფიქროთ, თითქოს წყვილთა შემადგენლობა იყო სუსტი, ან ძალები უთანაბრო. პირიქით, გადამწყვეტ ეტაპს ღირსეულთა შორის ღირსეულები შემორჩნენ. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, თანაბარი ძალის ათლეტებში ერთმა მეორეს დაასწრო ილეთის გაკეთება, ვიღაცამ უკეთ გამოიყენა მომენტი, მეორემ წამის მეათედით დააგვიანა და... ძიუდომ სხვებზე ნაკლებად იცის „დანაშაულის" პატიება.

ნახევარფინალისტთა ოცეულში 2 მოჭიდავე იყო უცხოეთიდან (პოლონელი ტალაი და გდრ-ის წარმომადგენელი ვებერი) და 18—სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან, მათ შორის, ოთხი თბილისელი (ხარშილაძე, გიგუაშვილი, მუზაევი, შალამბერიძე) და ორიც გორელი (შაქარაშვილი და ჩოჩიშვილი). ამ ექვსეულმა საპრიზო ადგილებიც თანაბრად გაიყო: აი, როგორ წარიმართა შეხვედრები ნახევარფინალებსა და ფინალებში:

ქვემსუბუქი — 63 კგ. მოროზოვმა ქულებით დაამარცხა ხარიტონოვი, შაქარაშვილმა 4 წუთსა და 26 წამში — გორდიანსკი (ყველა — სსრ კავშირი). ფინალში შაქარაშვილმა 59 წამში სძლია მოროზოვს.

მსუბუქი — 70 კგ. გერასიმოვმა ქულებით დაამარცხა იურჩენკო, დვოინიკოვმა (სამივე—სსრ კავშირი) — ტალაი. ფინალში დვოინიკოვმა 13 წამში მოუგო გერასიმოვს.

საშუალო — 80 კგ. გიგუაშვილმა ქულებით დაამარცხა ხარშილაძე, სარქისიანმა — მერკულოვი (ყველა — სსრ კავშირი). ფინალში სარქისიანმა ქულებით აჯობა გიგუაშვილს.

ქვემძიმე — 93 კგ. ვებერმა 34 წამში დაამარცხა ბერძული, ჩოჩიშვილმა ქულებით — მუზაევი (სამივე — სსრ კავშირი). ფინალში ჩოჩიშვილმა 5 წუთსა და 23 წამში მოუგო ვებერს.

მძიმე. შალამბერიძემ დაამარცხა შნეიდერი, კაზაჩენკოვმა — კორობკოვი (ყველა — სსრ კავშირი). ფინალში კაზაჩენკოვმა მოუგო შალამბერიძეს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 27 (4021)

8 1970 წ. თებერვალი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


„ლელოს" ინტერვიუ

## ლაპარაკობენ სტუმრები

### ვიმ რიუსკა

მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი

(ჰოლანდია)



● **როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება თბილისში ჩამოსვლის შემდეგ?**

— მოსკოვში რამდენიმეჯერ ვარ ნამყოფი, თბილისში კი პირველად ჩამოვედი. საქართველოს შესახებ ბევრი კარგი მსმენია. ყველაფერი მართალი ყოფილა! განსაკუთრებით მომწონს ხალხი, მხიარული და ხმაურიანი, ამასთან, ჭიდაობის მოყვარული.

● **რიუსკას სახელი მსოფლიოში ცნობილი, როგორც ჩემპიონთა შორის ჩემპიონისა. მაგრამ გულშემატკივრებმა, რომლებიც თბილისშიც, სხვათა შორის, მრავლად გყავთ, სხვა არაფერი იციან თქვენზე. გთხოვთ წარუდგინოთ მათ თავი.**

— ვარ ახალგაზრდა, მიყვარს ჰოლანდია და ბავშვები, ამიტომაც თავისუფალ დროს მუდამ მათთან ვატარებ. ამ ცოტა ხნის წინ გავხსენი სკოლა, სადაც ძიუდოს ვასწავლი ბავშვებს, ახალგაზრდებს და ქალებსაც. სხვათა შორის, ჭიდაობის ამ სახეობამ ბოლო ხანებში ბევრი ლამაზმანის გული მოიგო. ამან კი ჩვენ, მწვრთნელებს, მუშაობის მეტი სტიმული მოგვცა.

● **რატომ მაინცდამაინც ძიუდოზე შეჩერდა თქვენი არჩევანი?**

—იმიტომ, რომ ძიუდოს უყვარს ღონიერი, სწრაფი და ზუსტი კოორდინაციის ათლეტები.

● **თუ გიცდიათ ოდესმე ძალა თავისუფალ ჭიდაობაში?**

— რა თქმა უნდა, მიცდია. მეტსაც გეტყვით — ვარ ჰოლანდიის სამგზის ჩემპიონი.

● **ორიოდე სიტყვა საბჭოთა ძიუდოისტებზე.**

— კარგი, ღონიერი ბიჭები არიან, მაგრამ ძიუდოს ხელოვნებას ჯერჯერობით ბოლომდე ვერ დაუფლებიან. ამას მე ვამბობ მასაზე და არა ისეთ დახვეწილ ოსტატებზე, როგორიც, მაგალითად, თქვენი ანზორები არიან.

● **ანზორი მართლაც ბევრი გვყავს. თქვენ რომელზე ამბობთ?**

— კიკნაძეზე, ქიბროწაშვილზე, მარტყოფლიშვილზე...

● **ტურნირის ორგანიზაციით კმაყოფილი ხართ?**

— იქ, სადაც ანზორ კიკნაძე თავკაცობს, მუდამ წესრიგია. ძალიან მომეწონა ტურნირის ორგანიზაცია და მაყურებლების დამოკიდებულება ძიუდოსადმი, რომელსაც ასეთი დიდი აუდიტორია იაპონიაში თუ ჰყავს მხოლოდ. მომეწონა თქვენი ხალხი. ქართველები ძალიან თავაზიანები არიან.

● ●

### ლიონელ გროსენი

ევროპის მრავალგზის ჩემპიონი

(საფრანგეთი)

● **ჩვენთვის ცნობილია, რომ სარბიელს კარგა ხანია თავი დაანებეთ. რას აკეთებთ ამჟამად?**

— ვზრდი ახალგაზრდა ძიუდოისტებს. ეს საქმიანობა პირველ და უმთავრეს პატრიოტულ ვალად მიმაჩნია. ჩემი რწმენით, ყოველი თანამედროვე ახალგაზრდა მეტნაკლებად უნდა ფლობდეს ამ შესანიშნავი ჭიდაობის ილეთებს.

● **რა ნიშნით ანიჭებთ უპირატესობას ძიუდოს სპორტის სხვა დანარჩენ სახეობებთან შედარებით?**



— ეს არ მიპოქვამს, თუმცა ასე კი ვფიქრობ. ძიუდო ადამიანის ფიზიკური აღზრდის ჩინებული და მრავალმხრივი საშუალებაა. ამას გარდა, მისი ილეთები ერთგვარად აწონასწორებს ფიზიკურად ძლიერი და სუსტი ადამიანის შანსებს. თუ კარგად ფლობ ძიუდოს ხერხებს, ადვილად შეგიძლია დააღწიო თავი ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციას.

● **რა აზრისა ხართ საბჭოთა ათლეტებზე?**

— საბჭოთა ძიუდოისტები, ყველანი, როგორც წესი, ფიზიკურად ძლიერები არიან. ეს არის მათი მთავარი ღირსებაც და, თუ გნებავთ, ნაკლიც. ფიზიკური ძალა კარგია, როცა იგი ტექნიკასთანაა შერწყმული. თქვენი ძიუდოისტები კი, ჩემი აზრით, ცალმხრივად არიან განვითარებული. ტექნიკის სრულყოფა — აი, რას უნდა მიაქციოთ მთავარი ყურადღება.

● **ვინ შეგიძლიათ გამოჰყოთ საბჭოთა ძიუდოისტებს შორის?**

— პირველ ყოვლისა, ჩემი მუდმივი მეტოქე და მეგობარი ბონდარენკო და ჩვენი მასპინძელი ანზორ კიკნაძე, რომელიც დღეს ისევე მსუბუქად და არტისტულად უძღვება თავის მოვალეობას (ა. კიკნაძე ტურნირის მთავარი მსაჯია. — რედ.), როგორც ბრძოლის დროს იცოდა ხოლმე.

● **გმადლობთ ინტერვიუსთვის. კიდევ ხომ არ გვეტყოდით რამეს?**

— თბილისში ჩამოსვლით დიდად ნასიამოვნები ვარ. აქ ყველაფერი კარგია და გულწრფელი: ჰავაც, ხალხიც და, რაც მთავარია, ურთიერთობა.



გუშინწინ საღამოს ლენინგრადის სპორტის სასახლე „იუბილეინის" ტრიბუნები კვლავ მრავალრიცხოვანი მაყურებლებით აივსო — ყინულის სარბიელზე ევროპის ჩემპიონის სახელისთვის ფიგურისტი ქალები იბრძოდნენ.

ბევრმა მონაწილემ (მათ შორის, სსრ კავშირის ჩემპიონმა, ადგილობრივმა სპორტსმენმა ე. ალექსანდროვამ) ნებისმიერ პროგრამაში მზარდი ოსტატობა გამოავლინა, მაგრამ საღამოს მშვენება მსოფლიო ჩემპიონის გ. ზაიფერტის (გდრ) გამოსვლა იყო. ტექნიკაში მან უმთავრესად 5,9 ქულა დაიმსახურა, ხოლო ვარჯიშის არტისტიზმის შეფასებაში სამმა მსაჯმა ფიგურული ციგურაობის ამ უზადო ოსტატს 6 ქულა დაუწერა!

და აი, საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ ჩემპიონატის პრიზიორები. უმაღლესი საფეხური, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ ზაიფერტმა დაიკავა. II ადგილზე გავიდა სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურებული ბ. შუბა (ავსტრია), ხოლო III — უნგრელი ჟ. ალმაში.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ გ. ზაიფერტსა და მის დედასა და მწვრთნელს, ფიგურული ციგურაობის ცნობილ სპეციალისტს ი. მიულერს.

ფოტო ვ. გალაქტიონოვისა.

## ნორჩ ფეხბურთელთათვის

### იხსნება ახალი სპეციალიზებული სკოლა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში ხსნის ახალგაზრდულ სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლას, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ მესხი.

სკოლაში მიიღებიან 1956-60 წლებში დაბადებული ბავშვები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ ნორმატივებს.

ნორმატივების მიღება იწარმოებს 10-დან 28 თებერვლამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით, 11-დან 13 საათამდე და 15-დან 17 საათამდე.

მისამართი: დიღმის მასივი, „დინამოს" საწვრთნელი ბაზა.

# ვასწავლოთ ოსტატობა, აღვზარდოთ მოქალაქე

5 თებერვალს გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის ერთობლივი სხდომა, რომელიც მიეძღვნა სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემებს. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, კომკავშირის საქალაქო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, პროფკავშირული და ფიზკულტურული მუშაკები, მწვრთნელები და სპორტსმენები, მეცნიერები, ჟურნალისტები.

მოხსენებებით გამოვიდნენ პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ანტიპიონოკი, ბელორუსიის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. სოკოლოვსკი და მოსკოვის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ერიომინი. კამათში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კ. ჟაროვმა, ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდის კომკავშირულმა ორგანიზატორმა ი. რომიშევსკიმ, მძლეოსანთა ნაკრების კომკავშირულმა ორგანიზატორმა ი. ტერ-ოვანესიანმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა ე. პეტუშკოვამ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის განყოფილების გამგემ ბ. როგატინმა და სხვ.

საბჭოთა სპორტსმენი, — ამბობდნენ სხდომის მონაწილენი, — ჰარმონიულად განვითარებული, იდეურად გამოწრთობილი და სამშობლოს პატრიოტი ადამიანია. ჩვენ ბევრი შესანიშნავი, მიბაძვის ღირსი სპორტსმენი გვყავს. გვყავს უნარიანი მწვრთნელებიც, რომლებიც თავიანთ ამოცანას მარტო იმაში კი არ ხედავენ, რომ მათმა აღსაზრდელებმა კარგ შედეგებს მიაღწიონ, არამედ იმისთვისაც ზრუნავენ, რომ მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებები აღზარდონ მათში.

მწვრთნელის გვერდით მუდამ უნდა იდგეს მებრძოლი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაცია. კომკავშირულ ორგანიზაციებს უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ სპორტსმენთა საქციელის გამო, ისინი ხომ უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდები არიან. უნდა ვეძიოთ გამოუყენებელი რეზერვები, დაფარული ძალა, აქტიურად დავეხმაროთ მწვრთნელებს. ტიტულოვან სპორტსმენთა წინაშე მაამებლობა, ყოვლის მიტევება — აი, რა არის უმართებულო შეხედულებებისა და საქციელის მიზეზი. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა ავამაღლოთ სპორტსმენების მიმართ მომთხოვნელობა, სრულვყოთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, გავაუმჯობესოთ მწვრთნელთა მომზადება, რათა ისინი იყვნენ ნამდვილი პედაგოგები და არა ხელოსნები.

— აღზრდა, ეს პირველ ყოვლისა სიძნელეების გადალახვის სწავლაა, — თქვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. კრავჩენკომ. — სამწუხაროდ, მწვრთნელებს ზოგჯერ ავიწყდებათ ეს, თავიანთ აღსაზრდელებს იოლ პირობებს უქმნიან, ხოლო რთულ პირობებში ისინი უკან იხევენ.

სხდომის დასასრულს გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ტიაჟელნიკოვი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგემ ბ. გონჩაროვმა.

## მ. ოყრომიძე — მეორე

1970 წლის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება საბჭოთა მძლეოსნებმა ლენინის გორაზე, მოსკოვის უნივერსიტეტის მანეჟში ჩაატარეს. ეს იყო მოსკოვის, თბილისის, ტარტუს მძლეოსანთა საუნივერსიტეტო გუნდების რიგით XI ტრადიციული მატჩი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარელი მძლეოსნებიც „აკადემიკიდან“ (სოფია).

სსრ კავშირში სეზონის საუკეთესო შედეგი დარბაზებისთვის აჩვენა ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტმა ა. ტამერტმა, რომელმაც ბირთვი 18,36 მეტრზე ჰკრა. მას სულ 20 სმ-ით ჩამორჩა თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი მ. ოყრომიძე.

სტუმრები გამოირჩეოდნენ თარჯრბენში: დ. კოლევა პირველი იყო 50-მეტრიან დისტანციაზე — 7,3 წამი, გ. მლიაკოვი — 55 მეტრზე — 7,6.

მოსკოველმა სტუდენტმა გ. მელიქიანმა ჭოკით 480 სმ აიღო.

გუნდური გამარჯვება მოსკოველმა სტუდენტებმა მოიპოვეს.

## მოჭიდავეთა გუნდში ცვლილებებია

სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელებმა ი. რადონიაკმა და ნ. ლიმ ცვლილებები მოახდინეს იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელიც 11 თებერვალს მოსკოვში აშშ-ს ნაკრებს შეხვდება. პირველ ორ წონით კატეგორიაში ალმაათელი ჟ. კუკუმოვისა და ჩიმკენტელი მ. ჯაკსიბაევის ნაცვლად რინგზე გამოვლენ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, 34 წლის ვოლგოგრადელი ვეტერანი ვ. ივანოვი და ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი, ნიკოლაეველი ვ. ზაპოროჟეცი.

კუკუმოვი და ჯაკსიბაევი შეიყვანეს გუნდში, რომელიც მეორე მატჩში შეხვდება ამერიკელებს (მინსკში 14 თებერვალს). დანარჩენ წონით კატეგორიებში, დაწყებული 54 კგ-დან, ბელორუსიის დედაქალაქში გამოვლენ: ქვეყნის ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის, კიეველი ი. დუბენიუკი და მოსკოველი ვ. ბალდასაროვი, ხარკოველი ვ. დინეევი, ქვეყნის 1968 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, რიგელი ა. დოლგოვი, მექსიკის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, კიეველი ვ. მუსალიმოვი, სსრ კავშირის ახალგაზრდულ პირველობებში ორგზის გამარჯვებული, ხარკოველი ა. კლიმანოვი, ქვეყნის პირველი მოჭიდავეები, ნოვოსიბირსკელი ა. კუდრიაშოვი და პეტროზავოდსკელი ნ. რაზუმოვი (ეს უკანასკნელი შეიძლება შეცვალოს 1968 წლის საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა, მინსკელმა ლ. კრიუკმა), აგრეთვე, ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ერევნელი კ. სარონიანი.

## ოთარ შალამბერიძე

## სუ ალტო

მიხეილ ხერგიანის ნათელ ხსოვნას

სუ ალტო, ჩუმად!..
სუ ალტო, სუ...
ლილეოს ფრთების
გამართვა სურს.
რა ღმერთი გაგიწყრა,
სუ ალტო, იმ წამს?
ლილეო პირველად
დააკვდა მიწას!..
სუ ალტო, სუ,
სუ ალტო, წყნარად,
ლილეო კიდევაც
მოვა და წავა!..

სუ ალტო — იტალიის
გულქვა ქალიშვილო,
დუმილის ლიტანიით
უნდა დაიჩრდილო!..
რაც გინდა გშვენოდეს
ქათიბი ნისლის,
მუდამ ჟამს აღსავსე
ნადირის რისხვით,
რაც გინდა გშვენოდეს
ფერთა სიჭრელე,
კეთილ მასპინძლობას
ვერ დაიჩემებ!...
არა, სუ ალტო,
არ გინდა ფიცი,
ერთხელ ღალატი
ყველა მთამ იცის!..
მაგრამ დიდგულად
ნუ იტყვი მაინც,
რომ შენ აჯობე
ლაღამელ რაინდს.
შენი ალერსით
გაერთო იგი,
შხარას თუ შხელდას
ეწვია ფიქრით...
მოგხვია ხელი და
გეფერა დიდხანს,
სვანეთს მაგონებო, —
ჩურჩულით გითხრა.
იქნებ შეუყვარდი
შორეულ რაინდს?
არა! ვაჯობეო,
არა სთქვა მაინც!..

სუ ალტო, სუ!..
სუ ალტო, ჩუმად!
ქვა რატომ ესროლე
შორეულ სტუმარს?!
სუ ალტო — იტალიის
გულქვა ქალიშვილო,
დუმილის ლიტანიით
უნდა დაიჩრდილო!..
სუ ალტო, ჩუმად!..
სუ ალტო, სუ!..
ხერგიანის სული
გახსოვდეს სულ!..

## ჩვენი ბლიც რეპორტაჟში

## მთავარი მოგება

ცელინოგრადის ოლქის ჰოკეისტთა შეჯიბრებაში ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს ჩემპიონობა სოფელ ელტაის მანქანათგამოსაცდელი სადგურის წარმომადგენლებმა, რომელთაც ყველა შეხვედრა მოიგეს. ეს გასაკვირი არ არის: ყამირის ამ დაბაში სპორტი ძალიან უყვართ.

10 წლის წინ, როცა სოფელში მანქანათგამოსაცდელი სადგური მოეწყო, აქ სამუშაოდ ჩამოვიდნენ ჩელიაბინსკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის კურსდამთავრებულები: ინჟინრები ა. ასადულინი, ა. კარპენკო, ვ. კირიენკო. სტუდენტურ წლებში მათ ბევრჯერ დაუცავთ თავიანთი უმაღლესი სასწავლებლის ღირსება ჰოკეისტთა ბატალიებში. ახლა ბევრი სამუშაო ჰქონდათ, მაგრამ სპორტისთვის დროს მაინც არ იშურებდნენ. პირველი საცხოვრებელი და საწარმოო მშენებლობების გვერდით გაჩნდა საციგურაო და ჰოკეის კარი. ზაფხულობით, სამუშაოსგან თავისუფალ დღეებში, ენთუზიასტები აწყობდნენ უმარტივეს სტადიონს ფრენბურთის, კალათბურთის, ბადმინტონის, ხელბურთის მოედნებით.ააგეს ტირი.

ახლა ელტაიში 11 სპორტული ბაზაა. ფიზკულტურულ მუშაობას თანრიგოსნები და საზოგადოებრივი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ. ნაკრებში კვლავ თამაშობენ ვ. კირიენკო, რომელიც ახლა სადგურის დირექტორია, მთავარი ინჟინერი ი. ერძოლენკო, ხელსაწყოთა ლაბორატორიის გამგე, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ბუბენჩიკოვი. ინჟინრებმა ა. ვრაჟნოვმა და ა. ასადულინმა ამას წინათ დაამთავრეს მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე და ახლა სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდების მოპოვებაზე ოცნებობენ.

ტრაქტორების ლაბორატორიის ინჟინერს ვ. სილანტიევს უკვე აქვს ეს წოდება (ბიატლონში). ზამთრობით იგი მოთხილამურეებს წვრთნის, ზაფხულობით — მძლეოსნებს.

დურგალ ი. ბოცვინოვს წლეულს 70 წელი უსრულდება, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ კადრების განყოფილებამ იცის. მუშაობაში იგი ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდება, ხოლო საღამოობით სპორტდარბაზში ჭაბუკებსა და ქალიშვილებს აკრობატიკის საიდუმლოებას ასწავლის, ამასთან, კლასიკური ჭიდაობის სექციასაც ხელმძღვანელობს.

მანქანათგამოსაცდელი სადგურის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესოა ცელინოგრადის ოლქში. ამას მოწმობს სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული თასები და სიგელები. მაგრამ მთავარი მოგება ჯანმრთელობაა: 500-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე რეგულარულად მეცადინეობს სექციებში.

ვ. პარხომენკო.
(საკდესის კორ.).
ცელინოგრადის ოლქი.

## საქმეში ჩაერია... გრიპი

კიევში ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო ტურნირის მონაწილეებს გრიპის ვირუსი დაერია. თავდაპირველად მან ტურნირიდან გამოთიშა ბელორუსიელი სპორტსმენები ნოვაშინსკაია და კაზაკევიჩი, შემდეგ თამაშზე თბილისელ ივანოვას ათქმევინა უარი. საეჭვოა ტურნირში ლეიუსის მონაწილეობაც. მართალია, მან გაბედა რუშკასთან მეოთხედფინალური შეხვედრის გამართვა და გაიმარჯვა კიდეც (6:4,6:4), მაგრამ შემდეგ მაღალმა სიცხემ შეაწუხა და სასტუმროში წავიდა. თუ გამოჯანმრთელება მოასწრო, ნახევარფინალში იგი ლიხაჩოვს შეხვდება. ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში მოუგო კოროტკოვს (11:9, 6:3).

ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე, ლამპი და მეტრეველი. პირველმა დაამარცხა სამუილოვი (5:7, 6:4, 6:4), მეორემ — პესჩანკო. მეტრეველმა ამ შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა ბოლო, მეტად ძნელი პარტიის მოგებით (10:8).

ქალთა ერთეულების ნახევარფინალში გავიდნენ ერემეევა, ჩუვირინა, კული და მოროზოვა.

გაირკვა ნახევარფინალისტთა ვინაობა შერეულ წყვილებშიც: მოროზოვა, მეტრეველი — კული, სიმსონი; ჩუვირინა, კაკულია — ისლანოვა, ლუნინი.

## ეთერის სნაიპერთა შეჯიბრება

კალუგა, 4 თებერვალი. კ. ციოლკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ მეორე საკავშირო ასპარეზობაში 659 რადიოსადგურმა მიიღო მონაწილეობა: გაიმარჯვეს იჟევსკის, სევასტოპოლის, კუიბიშევის (მოკლეტალღიანი დიაპაზონი), კრასნოიარსკის, ანდიჟანისა და უსტ-კამენოგორსკის (ულტრამოკლე ტალღები) რადიოსადგურებმა. ეთერის 200-ზე მეტი სნაიპერი დიპლომებს, სამახსოვრო სამკერდე ნიშნებსა და სუვენირებს მიიღებს.

კოსმონავტიკის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმმა და კალუგის რადიოსპორტის ფედერაციამ ეს შეჯიბრება ჩაატარეს ცნობილი რუსი მეცნიერის პატივსაცემად, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რადიოკავშირს კოსმოსური სივრცეების ათვისებაში. (საკდესი).

● ბუქარესტი, 6 თებერვალი. რუმინეთის ღია ჩემპიონატში წარმატებით აიღეს სტარტი მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა: ვაჟთა წყვილმა (ა. ამელინი — გ. ვარდანიანი) ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხა გდრ-ის დუეტი და რუმინეთის იუნიორთა გუნდი, ხოლო საბჭოთა ქალების წყვილმა (ა. ამელინა — ე. გოლუბკოვა) სძლია ჯერ პოლონელებს (3:1), შემდეგ კი რუმინეთის მეორე გუნდს (3.0).

● ბრატისლავა, 6 თებერვალი. გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩების კენჭისყრა ხელბურთელ ქალთა გუნდებს შორის. ამ საპატიო პრიზის მფლობელი — კაუნასის „ჟალგირისი“ ორჯერ შეხვდება „ჰგ კოპენჰაგენს“ (დანია), ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონი — კიევის „სპარტაკი“ ეთამაშება „სკ ლაიპციგს“ (გდრ).

● ტორონტო, 6 თებერვალი. კანადის ამ ქალაქში გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. დიდ წარმატებას მიაღწია 19 წლის მასპინძელმა დ. ბრილმა, რომელიც სხვა მხტომელ ქალებზე უკეთესად ეუფლება „ფოსბიურის“ სტილს. ამჯერად მან 183 სმ სიმაღლე გადალახა, რაც კანადის უმაღლესი მიღწევაა და სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში დარბაზებისთვის. მსოფლიოს ახალი მიღწევით დაამთავრა 600 იარდზე (548 მ) რბენა ამერიკელმა მოსწავლემ, 17 წლის შერილ ტუსენმა — 1.22,2 (ძველი მიღწევა — 1.22,4 — ეკუთვნოდა ამერიკელ ნ. კრაკერს).



როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ თბილისში, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში გაიმართა ჩვენი დედაქალაქის ჩემპიონატი ცურვაში.

15-16 წლის გოგონებში თავი გამოიჩინა დინამოელმა ს. ნუქიფშვილმა, რომელმაც ყველას აჯობა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით, ხოლო 100-მეტრიან დისტანციაზე ბრძოლის ფინიშთან მეორე იყო.

სურათზე: ს. ნუქიფშვილი ასპარეზობისას.

ფოტო გ. გურასაშვილისა.

# მხოლოდ ერთი კაცით

**ბაკურიანი,** 7 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ზამთრის III სპარტაკიადამ გუშინ ეკვატორი გადალახა — შეჯიბრება დამთავრდა კიდევ ხუთ სახეობაში. მაგრამ რესპუბლიკის ჩემპიონთა რიგები მხოლოდ ერთი კაცით გაიზარდა, ვინაიდან მშობლებსა და გიგანტურ სლალომში ამჯერადაც მათ იმარჯვეს, ვინც წინა დღით 5 და 15 კილომეტრზე რბენაში, აგრეთვე, სწრაფდაშვებაში დაამარცხა მეტოქეები. დღეს კოხტაგორაზე გაიმართება შეჯიბრება სპეციალურ სლალომში და ქალთა შორის ახალი ჩემპიონი გამოვლინდება. ვაჟები ამ სახეობაში დავას ხვალ დაამთავრებენ. ფინალში გამოვა 12 საუკეთესო, ვინც დღეს გადამწყვეტი ბრძოლის უფლებას მოიპოვებს. ხვალ ჩატარდება ესტაფეტები და სპარტაკიადის შედეგებიც შეჯამდება.

გუშინ დილით ბრძოლაში ჩაებნენ 10 კმ-ზე მორბენალი ქალები. ამჯერად მათ უკეთესი შედეგები მოიპოვეს, ვიდრე წინადღით. ახლაც ყველას აჯობა პირველთანრიგოსანმა ა. კაზაკოვამ (თბილისის „ბურევესტნიკი"). საკმაოდ დასერილი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა — 304 მ) მან 47 წუთსა და 20 წამში გაირბინა. II ადგილი ისევ მესტიელმა ლ. ჯაფარიძემ („კოლმეურნე") მოიპოვა — 50.05,0. მის თანაგუნდელ ნ. რატიანს, რომელიც 5 კმ-ზე რბოლაში მესამე იყო, ამჯერად მხოლოდ V ადგილი ხვდა. მას აჯობეს თბილისელმა ფ. ოსიპოვამ („განთიადი") — 54.06,0 და თ. პარასტაევამ (სამხრეთ ოსეთი, განათლების განყოფილება) — 55.06,0.

ვაჟები 30 კმ-ზე (სიმაღლეთა სხვაობა — 930 მ) ასპარეზობდნენ. ტემპერატურა მინუს 5 გრადუსი იყო, მზიანი ამინდი კი შესანიშნავ საასპარეზო პირობებს ქმნიდა. ამიტომ შედეგებიც დამაკმაყოფილებელი გამოდგა: სამივე პრიზიორმა შეჯიბრება I თანრიგის მაჩვენებლით დაამთავრა. ა. ნავერიანმა, რ. გულბანმა (ორივე — მესტიის „კოლმეურნე"), იაგო ნასყიდაშვილმა (თბილისის „ბურევესტნიკი") და ლ. სოლოიანმა (ბორჯომის „კოლმეურნე") ახლაც დაამტკიცეს, რომ მეტოქეებზე მაღლა დგანან. სამივე პირველი ადგილი 15 კმ-ზე რბენის პრიზიორებმა ამ დღესაც ადრინდელი თანმიმდევრობით გაინაწილეს: გულბანი — 1:52.53, ნასყიდაშვილი — 1:55.56, ნავერიანი — 1:57.30.

ტურნირი დაამთავრეს ორჭიდელებმაც. ხტომებში შეჯიბრების შემდეგ დაწინაურდა გ. მიქაბერიძე (ბორჯომის „კოლმეურნე"), მაგრამ რბენამ უპირატესობა მოუტანა მის თანაქალაქელ ფ. თვაურს („განთიადი"). ამ უკანასკნელმა 406,62 ქულა დააგროვა (ხტომაში ასპარეზობა 40-მეტრიან ტრამპლინზე ჩატარდა). II ადგილი დაიკავა თ. თედიაშვილმა (ბორჯომის „კოლმეურნე") — 385,43 ქულა. მესტიელი გ. გუჯეჯიანი („კოლმეურნე") III ადგილზეა — 368,90 ქულა.

გიგანტური სლალომი კოხტაგორის აღიარებულ ტრასაზე მოეწყო (სიგრძე — 1500 მ, სიმაღლეთა სხვაობა—350 მ, 56 კარი). ბრძოლაში პირველად ქალები ჩაებნენ. საუკეთესო შედეგს მიაღწია უკონკურსოდ მოასპარეზემ, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა გ. სიდოროვამ (მოსკოვი) — 1.53,8. ოსტატის შედეგი მხოლოდ მან აჩვენა. მეორე და მესამე შედეგები ჰქონდათ მოსკოველ ოსტატებს გ. ვოლკოვასა (2.04,1) და ტ. სულკოვას (2.06,3), მაგრამ, როგორც ცნობილია, ისინი უკონკურსოდ გამოდიოდნენ და რესპუბლიკის ჩემპიონობა ნ. ფალიანს (თბილისის „ბურევესტნიკი") დარჩა — 2.09,3. II ადგილზეა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ლ. გოგოლაძე (ქუთაისის „კოლმეურნე") — 2.11,2. III ადგილზე დარჩა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე თ. კოზანაშვილი (ბორჯომის „დინამო") — 2.17,9.

ვაჟთა შეჯიბრების ტრასას 300 მეტრი დაუმატეს. სიმაღლეთა სხვაობა 400 მ გახდა, კართა რაოდენობა — 50. სტარტზე პირველი გამოვიდა სპორტის ოსტატი შოთა კოზანაშვილი (ბორჯომის „დინამო"). როცა მან დისტანცია დაამთავრა, წამმზომებმა 1.26,6 აღნიშნეს. ეს მაჩვენებელი სხვებისთვის ორიენტირი გახდა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ლენინგრადელ ა. გერასიმოვს. კოზანაშვილის დრო სამმა სპორტსმენმა გააუმჯობესა, მათგან ორი (ლენინგრადელი ოსტატები ს. გრიშჩენკო — 1.22,5, და ნ. კამენევი — 1.25,2) უკონკურსოდ გამოდიოდა. მესამე იყო კოზანაშვილის თანაგუნდელი გ. ჯიჩოევი (1,24,4), რომელსაც ჩემპიონობა დარჩა. II ადგილზეა კოზანაშვილი, III — ა. სტეფანიანი (თბილისის „დინამო") — 1.27,5. კარგი შედეგები ჰქონდათ, აგრეთვე, შალვა კოზანაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი") — 1.30,1, დ. თვაურს — 1.30,4 და ვ. მიქაბერიძეს (ორივე — თბილისის „კოლმეურნე") — 1.31.9.

სამი დღის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში ლიდერობენ თბილისის ნაკრების წარმომადგენლები — 17 საჯარიმო ქულა. II ადგილზე არიან მესტიელები — 23, III — ბორჯომელები — 25 ქულა. მეორე ჯგუფში ადგილები ასე ნაწილდება: ქუთაისი — 23, ცაგერი — 53, სამხრეთ ოსეთი — 54 ქულა.

**ო. გელაშვილი.**

# „დინამო", „პოლონია" და სხვანი

*ამ ცოტა ხნის წინ ვარშავაში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „პოლონიასა" და რუმინეთის „სტიაუას" შორის. ამ შეხვედრის შედეგით, ისევე როგორც განმეორებითი მატჩის ბედით, ერთობ დაინტერესებული იყვნენ თბილისის დინამოელები, ვინაიდან მათი მეტოქე მეოთხედფინალში ერთ-ერთი ამ კოლექტივთაგანი უნდა ყოფილიყო.*



ს უ რ ა თ ზ ე: ვარშავის „ლეგიისა" და „პოლონიის" შეხვედრის მომენტი. ფარქვეშ იბრძვიან (მარცხნიდან) ოლენიჩაკი („ლეგია") და კულა („პოლონია").

პირველი ბრძოლა ვარშავაში პოლონელებმა მოიგეს — 73:62 (37:30). საპასუხო ბრძოლა ბუქარესტში რუმინეთის თასის მფლობელის უპირატესობით აღინიშნა — „სტიაუამ" მოიგო კიდეც მატჩი (71:67), მაგრამ მეოთხედფინალში თამაშის და, მაშასადამე, თბილისის „დინამოსთან" ბრძოლის უფლება მაინც „პოლონიამ" მოიპოვა, რომელსაც უკეთესი ბალანსით ჰქონდა მოგებული ვარშავის მატჩი.

„პოლონია" პოლონეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, რომელიც ხშირად გამოდის ევროპული მასშტაბის ტურნირებში. გუნდს ჰყავს გამოცდილი მწვრთნელი ა. კოხი და მაღალკვალიფიციური კალათბურთელები ნოვაკი, კულა, ლიკირსკი, იედრჟევსკი, პისკუნი, მორსინსკი, ვიპიხი, კოშზა და სხვ.

„პოლონიის" ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები არიან ნოვაკი, კულა და ლიკირსკი. ნოვაკმა, მაგალითად, რუმინელებთან პირველ მატჩში თავის გუნდს 24 ქულა შესძინა, მეორე შეხვედრაში — 22. გუნდის სული და გულია პისკუნი (ერთ დროს იგი ნაკრების შემადგენლობაშიც იყო), რომელიც გამთამაშებლის ფუნქციებს ასრულებს და ხშირად წარმატებითაც უტევს მეტოქის კალათს.

**!** „პოლონიისა" და თბილისის „დინამოს" პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა ვარშავაში 11 თებერვალს შედგება, საპასუხო მატჩი გაიმართება 19 თებერვალს თბილისში.

როგორა აქვთ საქმე თასების მფლობელთა თასის გათამაშების დანარჩენ მეოთხედფინალისტებს?

იუგოსლავიის „ლოკომოტივმა" პირველი შეხვედრა თურქეთის ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებს 14 ქულის უპირატესობით (96:82) მოუგო. მართალია, თურქებმა შინ რევანში აიღეს (82:75), მაგრამ მეოთხედფინალში თამაშის უფლება „ლოკომოტივს" დარჩა. მისი მეტოქე იქნება ბელგიის „სტანდარდი", რომელმაც შედარებით იოლად მოუგო პირველი მატჩი ჩეხოსლოვაკიის „ისკრას" (101:67) და ფაქტიურად გაინაღდა ადგილი მეოთხედფინალში.

იტალიის „ფიდესმა" პირველი მატჩი ტელ-ავივში წააგო, მაგრამ „მაკაბის" უპირატესობა მხოლოდ 7 ქულით (89:82) განისაზღვრებოდა და ამიტომ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ იგი საბოლოოდ დაძლევდა „იტალიურ ზღუდეს". სტუმრად ისრაელის კალათბურთელები დამარცხდნენ და საკმაოდ მწარედაც (62:91). „ფიდესი" გავიდა მეოთხედფინალში, სადაც შეხვდება საბერძნეთის თასის მფლობელს აეკ-ს.

ბერძნებმა მერვედფინალში სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს უნგრეთის მფკ-სთან. აქ სენსაციური იყო არა ბერძნების გამარჯვება, არამედ ანგარიში. აეკ-მა ჩინებული დაცვით ფაქტიურად ხელ-ფეხი შეუკრა უნგრელებს, რომლებმაც 40 წუთის მანძილზე მხოლოდ 49 ქულა აიღეს. შეხვედრა საბერძნეთის თასის მფლობელმა მოიგო ანგარიშით 86:49. განმეორებით მატჩში უნგრელებმა მხოლოდ „მორალურ რევანშს" მიაღწიეს — 104:97.

უაღრესად დაძაბული გამოდგა საფრანგეთის „ვიშისა" და ბულგარეთის „ლევსკის" მერვედფინალური ორთაბრძოლა. ფრანგებმა შინ მხოლოდ 8-ქულიანი მარაგი დააგროვეს — 66:58, მაგრამ მიზანს მიაღწიეს: სოფიაშიც კარგად ითამაშეს და მარტო 4 ქულით წააგეს — 78:82. „ვიში" გავიდა მეოთხედფინალში, სადაც შეხვდება ესპანეთის „იუვენტუდს". ამ უკანასკნელმა ორი მატჩის ჯამში დაამარცხა ფინეთის თასის მფლობელი ხკტ (პირველი შეხვედრა ესპანელებმა მოიგეს — 82:63, მეორე კი ფინელებმა — 86:81).

კალათბურთი

# ცსკა-ს მეტოქეებთან

საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩებიც.

**ბელგრადი.** როგორც ცნობილია, „ბ" ჯგუფში ცსკა-სა და იტალიის „ინისის" გარდა გამოდიან იუგოსლავიისა და საფრანგეთის ჩემპიონებიც. და აი, ადგილობრივმა „ცრვენა ზვეზდამ" ლიონის „ვილერბანს" უმასპინძლა. უაღრესად შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლა იუგოსლაველმა კალათბურთელებმა მოიგეს — 76:75 (43:45).

**მადრიდი.** „რეალმა" შინ დაამარცხა ბელგიის ჩემპიონი „რესინგი" — 80:70 (41:35). ეს „რესინგის" პირველი წარუმატებლობაა მეოთხედფინალში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ესპანელებს წინა აქვთ საპასუხო, გასვლითი მატჩი.

**პრაღა.** ადგილობრივმა „სლავიამ" საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო სოფიის „აკადემიკს" — 87:65 (41:37). ახლა უკვე ძნელი სათქმელია, შეძლებენ თუ არა ბულგარელი კალათბურთელი ვაჟები 23-ქულიანი სხვაობის გაბათილებას.

**→ თბილისი**

საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ფონოგრამების განყოფილების გამგემ ა. ურუშაძემ მოიგო დამატებითი მატჩი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის პ. კობახიძის სახელობის საჭადრაკო კლუბის ჩემპიონის სახელისთვის. მან სძლია თეატრალური ინსტიტუტის თანამშრომელს ა. პოლიაკოვს — 3:2.

**ი. თოდრია.**

**→ გორი**

ქალაქის ჩემპიონატში 10 მოჭადრაკე ვაჟი მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა გ. მუკნიაშვილმა და პირველთანრიგოსანმა გ. კუთარაშვილმა. ქალაქის შარშანდელი ჩემპიონი ჯ. ინჯია III ადგილზე გავიდა. IV-V ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა შ. თოთლაძემ და მისმა მოწაფემ დ. მაღალაშვილმა.

**ი. თევდორაშვილი.**



# ვეტერანის სახელობის პრიზის მფლობელნი

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ ფეხბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყვარელი შეჯიბრებაა თბილისის „დინამოს" გამოჩენილი მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის პრიზის გათამაშება.

ეს შეჯიბრება ტრადიციად იქცა და უდავოდ მისასალმებელია ის სიახლეც, რომელიც მასში შეიტანეს: ადრინდელისგან განსხვავებით, პრიზის მატჩები ჩატარდა ორ წრედ. ტურნირმა ოთხ თვეს გასტანა და მონაწილეებს საშუალება მიეცათ უფრო სრულად გამოევლინათ თავიანთი ნიჭი და უნარი. საპატიო პრიზს წლეულს ერთმანეთს ეცილებოდა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების 8 გუნდი (1952-53 წლებში დაბადებულნი).

ვეტერანის სახელობის პრიზი დამსახურებულად მოიპოვა თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის გუნდმა, რომელმაც მთელი გათამაშება განვლო თანაბრად, მაღალ სპორტულ დონეზე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. მარღანიას სახელობის პრიზის მფლობელი — თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის გუნდი. მარცხნივ — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. მამალაძე, მარჯვნივ — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თ. კუბლაშვილი.

ფოტო შ. ნოშრევანიძისა.

ფეხბურთი

# მოცურავეთა სეზონი

**1970** წელს მოცურავეთა შეჯიბრებები ახლებურად, მკაცრად განსაზღვრულ ვადებში ტარდება, კოლექტივებისა და სპორტული სკოლების პირველობებით დაწყებული, ქვეყნის ჩემპიონატებამდე. იანვრის მასობრივი სტარტების შემდეგ წყლის ბილიკების უძლიერეს საბჭოთა ოსტატებს ელით ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ეს ასპარეზობა 25-30 მარტს ჩატარდება ლენინგრადის 50-მეტრიან აუზში სრული ოლიმპიური პროგრამით.

ნევისპირა ქალაქში მოწვეული არიან სტუმრები ბულგარეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, უნგრეთიდან, გდრ-იდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და იუგოსლავიიდან. შემდეგ მასპინძლები და გდრ-ის მოცურავეები ჩაატარებენ ტრადიციულ მატჩს (18-15 აპრილი). ეს შეხვედრა პირველად მოეწყობა ნოვოსიბირსკის ახალ აუზში. იმავე დროს გდრ-ში ჩატარდება ამ ორი ქვეყნის ჭაბუკთა გუნდების შეხვედრა.

შემდეგი დიდი შეჯიბრება იქნება სსრ კავშირის პირველობა, რომელშიც 400-მდე მოცურავე ჩაებმება.

ცხრაწლიანი შესვენების შემდეგ ოქროს მედლები კვლავ გათამაშდება ლვოვის ღია აუზში (1-6 აგვისტო).

აგვისტოშივე საბჭოთა ჭაბუკები და გოგონები პოლონეთს გაემგზავრებიან „ოლიმპიური იმედების" ტურნირში საასპარეზოდ (21-23).

სეზონი დამთავრდება სექტემბრის შეჯიბრებებით. თავდაპირველად ბარსელონაში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში (5-12). შემდეგ ჟენევაში ვარაუდობენ ევროპისა და ამერიკის მოცურავეთა მატჩის გამართვას. ეს პირველი შემთხვევა იქნება სპორტის ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაიცანით: ოქროს ქალღმერთის ხელის მაძიებლები

მაისის ბოლო დღეს მეხიკოს 105-ათასიანი სტადიონი „აცტეკი" გახდება ფეხბურთში მსოფლიოს IX ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ადგილი. ამ დღეს კენჭისყრის ნებით, 22-დღიანი ტურნირის მასპინძლებთან — მექსიკელებთან ითამაშებენ საბჭოთა ფეხბურთელები.

უკვე ახლა ფეხბურთის სპეციალისტები და ჟურნალისტები ჩქარობენ დაასახელონ მეოთხედფინალური მატჩების მომავალი მონაწილენი და ზოგიერთები მსოფლიო ჩემპიონის ვინაობასაც წინასწარმეტყველებენ. მაგრამ ნუ ვიჩქარით ამ პროგნოზებით: ფინალისტები ერთმანეთს არაფერში დაუდებენ ტოლს. გავაცნობთ გადამწყვეტ მატჩებში მონაწილეებს. ჩვენი პირველი წერილი მექსიკის ნაკრებზეა.

## „უემბლიდან" „აცტეკამდე"

...მხიარულ გუნებაზე ბრუნდებოდნენ შინ 1966 წლის ზაფხულში მექსიკელი ფეხბურთელები ინგლისიდან. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მათ მაინცდამაინც არა ჰქონიათ ასეთი სიმხიარულის საბაბი: მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში ისინი დამარცხდნენ ინგლისელებთან (0:2), ფრედ ითამაშეს ფრანგებთან (1:1) და ურუგვაელებთან (0:0). „მწვანე-თეთრიანთა" (ასეთია მექსიკელთა ფორმა) მეექვსე ცდა — გასულიყვნენ მეოთხედფინალში, წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ სწორედ მაშინ იქცა მექსიკის ნაკრები მომავალი ჩემპიონატის მასპინძლად. ეს კი ბევრ რამეს ნიშნავს.

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ მასპინძლები, როგორც წესი, მაღალ ადგილებს იკავებენ გათამაშებაში. ასე იყო, თუნდაც, 1958 წელს შვეციაში, სადაც „ტრე-კრუნური" II ადგილზე გავიდა, 1962 წელს ჩილიში, სადაც მასპინძლები მესამენი იყვნენ და 4 წლის წინათ, როცა ლონდონის „უემბლის" სტადიონზე ინგლისელები ოქროს ქალღმერთის მფლობელნი გახდნენ.

— მაღალმთიანეთის პრობლემა ჩვენ არ გვაწუხებს. „აცტეკი" მშობლიური სტიქიაა, მშობლიური ჰაერია ჩვენი ფეხბურთელებისთვის, — თქვა მაშინ მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გ. კანიედომ. — დადგა დრო, შევარჩიოთ შესაფერისი სპარინგ-პარტნიორები და შევქმნათ უფრო მონოლითური კოლექტივი.

უკვე 1967 წელს მექსიკის ნაკრების მწვრთნელმა ი. ტრელესმა თავის გუნდთან ერთად გადალახა ატლანტის ოკეანე. მექსიკელები იყვნენ ჩვენს ქვეყანაშიც: ლენინგრადში ისინი დამარცხდნენ სსრ კავშირის ნაკრებთან (0:2), ხოლო ვოლგოგრადში მოუგეს რსფსრ-ს ნაკრებს (1:0).

მექსიკელებს ურიგო შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ. მათ მაღალი ტექნიკური მომზადება აქვთ, დროულად ცვლიან რიტმს და, შეიძლება, მხოლოდ ფიზიკური მომზადებით ჩამორჩებიან ევროპელ ფეხბურთელებს. მაგრამ ამ ხარვეზის გამოსწორება მუდამ შეიძლება.

პროგნოზები თითქოს მართლდებოდა: 1968 წელს მექსიკელებმა შეძლეს ბრაზილიელთა დამარცხება (2:1) და შინ ფრედ ითამაშეს ინგლისის ნაკრებთან (0:0), მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ მექსიკის ნაკრები თავის შარშანდელ ევროპულ ტურნეში სრულ კრახს განიცდიდა (4 წაგება, 2 ფრე და მხოლოდ ერთი მოგება ნორვეგიის სუსტ ნაკრებთან — 2:0). ტრელესი და 6 მოთამაშე დაუყოვნებლივ გააძევეს ნაკრებიდან და მისი ხელმძღვანელობა დაავალეს ახალგაზრდა რ. კარდენასს, ნაკრების ყოფილ კაპიტანს. ახალმა მწვრთნელმა კარგად იცოდა, რომ ერთი წლის განმავლობაში ახალი გუნდის შექმნა შეუძლებელია და ამიტომ უარი თქვა დიდ რეფორმებზე.

მოთამაშეთა უმრავლესობა, რომლებიც მონაწილეობდნენ მარცხიან ევროპულ ტურნეში, შემორჩა ნაკრებს. მწვრთნელმა თანდათან დააბრუნა გუნდში ყველა „დაჯარიმებული" და ამას უბრალო განმარტება მისცა: ყველა მათგანს საერთაშორისო შეხვედრათა დიდი გამოცდილება აქვს და მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში აქცენტი გაკეთდება თავდასხმის აქტივიზაციაზე, მისი შედეგიანობის ზრდაზე.

— წინასწარ ჯგუფში, სადაც ჩვენ მოვხვდით სსრ კავშირის, ბელგიისა და სალვადორის გუნდებთან ერთად, გარკვეული სიძნელეები გველის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მექსიკის ნაკრები გავა მეოთხედფინალში, — განაცხადა კარდენასმა. — მე მომიხდება კიდევ უფრო დეტალურად შევისწავლო საბჭოთა გუნდი. ეს ახალგაზრდა კოლექტივია, რომელშიც აღარ არიან წარსულის დიდი მოთამაშეები. ბელგიის გუნდი, რომელსაც 3 საუკეთესო ფორვარდი ჰყავს, მათ შორის, ვან ჰიმსტიც, ძალიან სახიფათო მეტოქე იქნება, ხოლო სალვადორის გუნდი მეხიკოში ჩამოვა საბრძოლო განწყობით, რომ შეუპოვარი ჭიდილი შესთავაზოს თავის მრისხანე მეტოქეებს. ამაშია სალვადორელთა ძალა.

მექსიკის ნაკრები, როგორც წესი, თამაშობს სქემით 4-2-4. მისი ძირითადი მეკარე იქნება კალდერონი, ლეგენდარული ანტონიო კარბახალის მემკვიდრე, რომელიც ხუთჯერ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში. დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზებს, ალბათ, შეავსებენ „კრუს ასულის" ფეხბურთელები, რომლის მწვრთნელიც კარდენასია. თავდასხმაში მექსიკელებს ფრაგოსოს ენერგიის იმედი აქვთ, რომელმაც ევროპის ტურნეში 4-დან 3 ბურთი გაიტანა, აგრეთვე, წამყვან ბომბარდირს ლოპესსა და სწრაფ გარემარბ პადილიას ეყრდნობიან.

აი, მექსიკელ მოთამაშეთა მოკლე სპორტული დახასიათება:

**მეკარეები.** **იგნასიო კალდერონი.** 26 წლის (სიმაღლე — 180 სმ. წონა—74 კგ). თამაშობს „გვადალახარაში", რომელიც მექსიკის ჩემპიონი იყო 1969 წელს. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. **ფრანსისკო კასტრეხონი.** 23 წლის (180-80), „უნივერსიდადი".

**მცველები.** **ხოზე ვანტოლიერა.** 26 წლის (175-75), „ტოლუკა". 1968 წლის ოლიმპიური ტურნირის მონაწილე. წარსულში ცნობილი ესპანელი მოთამაშის შვილი. **გუსტავო პენია.** 28 წლის (180-75). „კრუს ასული". 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და 1968 წლის ოლიმპიური ტურნირის მონაწილე. ნაკრების კაპიტანი. **გაბრიელ ნუნიესი.** 27 წლის (178-72). „ამერიკა". 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და 1968 წლის ოლიმპიური ტურნირის მონაწილე. **ხავიერ სანჩესი.** 22 წლის (173-68). „კრუს ასული". **მარიო პერესი.** 23 წლის (173-66). „კრუს ასული". **გილერმო ერნანდესი.** 27 წლის (174-74). „ამერიკა". 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.

**ნახევარდაცვა.** **ისიდორა დიასი.** 31 წლის (167-65). დაიბადა აკატლანაში (ხოლისკოს პროვინცია), სადაც ახლა ქალაქის მერის პოსტი უკავია. 1962 და 1966 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე. **ხუან მანუელი.** 25 წლის (173-67). „კრუს ასული". **ანტონიო მუნგია.** 27 წლის (167-63). „კრუს ასული".

**თავდასხმა:** **ორასიო ლოპესი.** 21 წლის (176-69). „ამერიკა". მექსიკის განვლილ ჩემპიონატში გაიტანა 19 ბურთი. **ალბინო მორალესი.** 28 წლის (170-65). „გვადალახარა". 1964 და 1968 წლების ოლიმპიური ტურნირების მონაწილე. **ერნესტო სისნეროსი.** 29 წლის (180-75). „ამერიკა". 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და 1968 წლის ოლიმპიური ტურნირის მონაწილე. **ხავიერ ფრაგოსო.** 27 წლის (178-72). „ამერიკა". 1964 წლის ოლიმპიური ტურნირის მონაწილე. **ლუის ესტრადა.** 21 წლის (173-68). „ლეონი". 1969 წლის მექსიკის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 24 გოლი. 1968 წლის ოლიმპიური ტურნირის მონაწილე. **ენრიკე ბორია.** 25 წლის (177-63). „ამერიკა". მექსიკური ფეხბურთის კერპი. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გაიტანა ერთადერთი გოლი. **აარონ პადილია.** 27 წლის (177-64). „უნივერსიდადი". 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. **ვისენტე პერედა.** 26 წლის (175-67). „ტოლუკა". 1968 წლის ოლიმპიური ტურნირის მონაწილე.

ა. კაჩალოვი.
(საკდესის კორ.).



ყოველ საფეხბურთო ქვეყანას ჰყავს თავისი კერპი, თავისი განუმეორებელი მოთამაშე, რომლის სახელი არასოდეს ავიწყდებათ ფეხბურთის მოყვარულებს.

მექსიკაში ასეთი სათაყვანო მოთამაშეა მეკარე ანტონიო კარბახალი. ორ ათეულ წელზე მეტ ხანს იცავდა იგი თავისი ქვეყნის ნაკრების კარს და თავისებური მსოფლიო რეკორდიც ეკუთვნის: კარბახალს მსოფლიოს ხუთ ჩემპიონატში აქვს მიღებული მონაწილეობა. ახლა მექსიკელთა განთქმულმა მეკარემ თავისი ადგილი ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდა მოთამაშეებს დაუთმო.

სურათზე აღბეჭდილია 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი მექსიკისა და ურუგვაის გუნდებს შორის, რომელიც დამთავრდა ფრედ — 0:0. ა. კარბახალი იღებს ბურთს.



# 16 ფინალისტის სახეები

## ძალთა მოსინჯვა ■ ტოსტაო — პელე ■ გალახი „დაისვენებს"

**სოფია, 6 თებერვალი.** სამკვირიანი ტურნეს ჩასატარებლად ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში გაემგზავრა ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები. ბულგარელებს პირველი ამხანაგური მატჩი 15 თებერვალს ექნებათ მექსიკის ნაკრებთან. მათმა მწვრთნელმა ს. ბოჟკოვმა 20 ფეხბურთელი წაიყვანა, რომლებიც, თამაშის გარდა, „აკლიმატიზაციის კურსს" გაივლიან.

**ლიმა, 6 თებერვალი.** პერუს ნაკრებმა ან, როგორც ახლა მას უწოდებენ — „დიდის გუნდმა", მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრების წინ ევროპაში ტურნეს მოწყობა გადაწყვიტა. აპრილში პერუელები გამოვლენ ესპანეთში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთსა და ბელგიაში.

**რიო-დე-ჟანეირო, 6 თებერვალი.** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები ჟ. სალდანიას ხელმძღვანელობით უკვე შეუდგა საწვრთნელ მეცადინეობას. „ფიფა-სა და მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს ჩვენ 40 სპორტსმენი უნდა დავუსახელოთ, მაგრამ მე გადავწყვიტე 22 კაცით შემოვიფარგლო, — იმ ფეხბურთელებით, რომლებითაც მექსიკას ჩავალ. ერთადერთი, რაც მაშფოთებდა, ეს ტოსტაოს ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო (როგორც ცნობილია, ამ ფეხბურთელმა თვალის ოპერაცია გადაიტანა. — **რედ.**), მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა: ტოსტაო პელესთან წყვილში ითამაშებს. ეს კი ჩვენი გამარჯვების ნახევარია", — განაცხადა სალდანიამ.

**მეხიკო, 6 თებერვალი.** „აცტეკის" სტადიონი, სადაც 31 მაისს სსრ კავშირისა და მექსიკის ნაკრები გუნდების მატჩით აღიმართება IX ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ალამი, 15 აპრილიდან დაიხურება: „შეჯიბრების ორგანიზატორებმა, რომლებიც ჯერ კიდევ 6 წლის წინ შეუდგნენ ჩემპიონატისთვის მზადებას, გადაწყვიტეს „დაასვენონ" მთავარი სარბიელი. ამ ხნის განმავლობაში სპეციალისტები გალახის საუცხოო გაზონის გაკეთებას ვარაუდობენ.

## [illegible]

### უჩვეულო მატჩი

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში გაიმართა მატჩი ორ უჩვეულო კოლექტივს შორის: ერთმანეთს შეხვდნენ ქვის მთლელ ოსინსკის ვაჟებისა და ადგილობრივ ჟურნალისტთა გუნდები. გაიმარჯვეს ჟურნალისტებმა — 1:0.

### „კოსმოსური" ჭადრაკი

მაინის ფრანკფურტის (გფრ) საერთაშორისო გამოფენაზე ექსპონატის სახით ნაჩვენები იქნა „მთვარის ჭადრაკი". უსწორო, კრატერებით დალარულ საჭადრაკო დაფაზე მოძრაობდნენ მეფე-რაკეტები და სხვა „კოსმოსური" ფიგურები.

### მსაჯის მცველი

ბრაზილიელ ტოხონკო როზის ფეხბურთის მატჩებში მსაჯობისას ხშირად ესხმოდნენ თავს ტემპერამენტიანი გულშემატკივრები. ახლა მან გამონახა მცველი: სამსაჯოდ გამოდის პატარა კალათით ხელში, რომელშიც ტრიალებს და სისინებს ერთი სულიერი, ჩვენში უსახელოს რომ უწოდებენ. როზის კონფლიქტები გულშემატკივრებთან საგრძნობლად შემცირდა.

### მონაზონი - სპორტსმენი

34 წლის ფორჰგაიმელი (გფრ) ღვთის მსახური ქალი ლაურა თავის კოლეგებს შორის კარგ სპორტსმენადაა ცნობილი. იგი სიგრძეზე 5 მეტრზე ხტება, 50 მეტრზე რბენაში კი 8,2 წამს აჩვენებს. ამას გარდა, ლაურამ თავი გამოიჩინა, როგორც მაშველმა მოცურავემ — წყლიდან ნაპირზე გამოიყვანა კაცი, რომელიც 100 კილოგრამს იწონიდა.

## 20 45

◆ **ბაქო, 7 თებერვალი.** დღეს აქ სტარტი აიღო აზერბაიჯანის სპარტაკიადის ფინალურმა შეჯიბრებებმა. მის პროგრამაში, რომელშიც პირველად შეიტანეს სამბო, ბადმინტონი, მხატვრული ტანვარჯიში და აფროსნობა, 30 სახეობაა. ფინალურ ასპარეზობათა გეოგრაფია უჩვეულოდ ვრცელია: შეჯიბრებები არა 5-6 ქალაქში გაიმართება, როგორც ეს უწინ იყო, არამედ 50-ში.

## გასწორება

„ლელოს" წინა ნომრის მე-4 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში — „მესტარტის სამწვრთნელო „გასროლა" კორექტორისა და პასუხისმგებელი მორიგის დაუდევრობის გამო გაიპარა შეცდომა. ამ წერილის მე-7 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: **„214 სმ სიმაღლე გადალახა (ეს მეორე"** — და შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 უე 080446